

პროფესიული განათლების სტრატეგია
2021-2025 წწ

სარჩევი

შესავალი	2
1. სიტუაციის ანალიზი	3
1.1 პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება	6
1.2 პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა	7
1.3 პროფესიული განათლება როგორც მიმზიდველი საგანმანათლებლო არჩევანი ახალგაზრდებისთვის	11
1.4 პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობა - ხარისხი და შესაბამისობა.....	12
1.5 ახალგაზრდების განათლებიდან შრომის ბაზარზე გასვლა და დასაქმების მხარდაჭერა	14
1.6 პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევების შეჯამება.....	17
2. სტრატეგიის ხედვა, მიზანი და ამოცანები	18
ამოცანა 1. სერვისების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების	19
ბენეფიციარების, საზოგადოებისა და ეკონომიკის მოლოდინებისა და საჭიროებების შესაბამისად	19
ამოცანა 2. პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა	26
ამოცანა 3. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი მმართველობის მოდელის დანერგვა	28
3. სტრატეგიის განხორციელება.....	33
3.1 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია	33
3.3. სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო	34
3.4 სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.....	34

შესავალი

პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში; ხარისხიანი პროფესიული განათლება ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, უმუშევრობის შემცირებას, ღირსეულ დასაქმებას, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, “მწვანე” ტრანსფორმაციას, სოციალურ ჩართულობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას.

ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია; ეს გამოიხატება ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ფართომასშტაბიან რეფორმებში, შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და გაზრდილ დაფინანსებაში; წინამდებარე სტრატეგია უპასუხებს საქართველოსთვის 21-ე საუკუნის გამოწვევებს, როგორცაა ტექნოლოგიებისა და შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება, ახალ უნარებზე მოთხოვნა, მოსახლეობის დაბერება, გლობალიზაცია, COVID-19 პანდემია და პოსტკოვიდური განვითარება; სტრატეგია ასევე უპასუხებს ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს, როგორცაა: ქვეყნის დემოკრატიული, სტაბილური განვითარება, ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა, და ამისათვის განათლების სექტორის ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფინანსური თუ პროგრამული განვითარების უზრუნველყოფა, ქვეყნის ციფრული და მწვანე ტრანსფორმაცია.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნები - 2030; კონკრეტულად, გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზანი 4 „ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა და სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა ყველასთვის“, რომლის უმთავრესი პრიორიტეტებია ხარისხის, შესაბამისობის გაუმჯობესება ღირსეული დასაქმებისა და მაწარმეობის ხელშეწყობის მიზნით; და მიზანი 17, რომლის მიხედვით მდგრადი განვითარების მიზნები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარტნიორობისა და თანამშრომლობის საფუძველზე; სტრატეგიის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია განათლების 2030 სამოქმედო ჩარჩო (UNESCO 2015), იუნესკოს მიერ გლობალური ტენდენციების ანალიზი, ევროპული დღის წესრიგი ზრდასრულთა სწავლებისათვის და რეკომენდაცია კვალიფიკაციის ამაღლებაზე 2020.

სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) მიღწევებსა და გამოწვევებს და ქმნის საფუძველს რეფორმის შემდგომი ეტაპისთვის; მიღწეული პროგრესის მიუხედავად, რჩება გარკვეული გამოწვევები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობის, შესაბამისობის, მართვის, ავტონომიის თუ ანგარიშვალდებულების მიმართულებით, რომელთა დაძლევა დაგეგმილია ახალი სტრატეგიის ფარგლებში. სტრატეგიაში გათვალისწინებულია COVID-19 პანდემიის გამოწვევები და პოსტპანდემიური განვითარების პრიორიტეტები, რაც მოითხოვს ახალი, მათ შორის ციფრული, უნარების სწრაფ განვითარებასა და სასწავლო გარემოსა და სწავლების მიდგომების ტრანსფორმაციას.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- ყველა დაინტერესებული პირისთვის თანამადროვე შრომის ბაზრისა და საზოგადოებისთვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა მთელი

ცხოვრების მანძილზე - კონკურენტუნარიანობის, მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების გზით;

- ხარისხის და შესაბამისობის გაუმჯობესება, სტუდენტების აღჭურვა ფართო სპექტრის უნარებით, რაც საჭიროა არა მხოლოდ დასაქმების/თვითდასაქმებისთვის, სამეწარმეო და ინოვაციური აზროვნების გასავითარებლად, არამედ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, პიროვნული და კარიერული განვითარებისა და აქტიური მოქალაქეობისთვის;
- სისტემის ეფექტიანი მართვის მიდგომების ხელშეწყობა და შესაძლებლობების გაუმჯობესება ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორცაა ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების, საგანმანათლებლო ქსელის, პროფესიული მასწავლებლების, მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესება; სხვა პოლიტიკებთან და სფეროებთან უკეთესი კოორდინაცია და თანამშრომლობა;
- დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, შესაბამისი მექანიზმებისა და შესაძლებლობების გაძლიერება
- ამ პროცესში ევროპულ განათლების სისტემებთან და გამოცდილებასთან თავსებადობის უზრუნველყოფა; საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და კრიტერიუმებთან შესაბამისობა;
- ფოკუსის გადატანა რეფორმის დანერგვაზე, მისი მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- მრავალმხრივი ინტერვენციების განხორციელება, მტკიცებულებსა და ცოდნაზე დამყარებული მიდგომის გამოყენება, მრავალმხრივი ოპერაციული ინსტრუმენტების გამოყენება; ქსელებისა და პარტნიორობის ხელშეწყობა.

სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული განათლების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, კოლეჯების, სკოლებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების ხედვა პროფესიული განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით 2021-25 წწ განმავლობაში.

სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები, როგორცაა საერთაშორისო გამოცდილება, ადგილობრივი მეორადი და პირველადი კვლევები და ანგარიშები, მონაცემთა ბაზები, საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და ა.შ.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მთავრობის, სხვადასხვა სამინისტროებისა და მათი სააგენტოების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

1.1. სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგია მოამზადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ევროკავშირის „განათლება დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) პროგრამის მეორე ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ -

ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე.

სტრატეგია შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მიხედვით (2016).

სტრატეგიის მომზადების საწყის ეტაპზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტთან კოორდინაციით ჩამოაყლიბა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები: სამინისტროს სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ახალგაზრდობის სააგენტოს, საქართველოს დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საწყის ეტაპზე ჩატარდა სიტუაციური ანალიზი, სამაგიდე კვლევა, გაანალიზდა არსებული კვლევები და ანგარიშები; ამავე ეტაპზე რვა ფოკუს ჯგუფი ჩატარდა დაინტერესებულ მხარეების წარმომადგენლებთან: განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, რეგიონული სამინისტრო, GITA, ახალგაზრდობის სააგენტო, აწარმოე საქართველოში, ადგლობრივი თვითმმართველობა, პროფესიული სტუდენტები და მშობლები; პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაცია და მასწავლებლები/ინსტრუქტორები; კერძო სექტორის წარმომადგენლები - დამსაქმებლები-სექტორული, ასოციაციები/დარგობრივი ასოციაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სფეროს ექსპერტები. სამუშაო კვლევის ფარგლებში ჩატარდა 20 შეხვედრა.

სტრატეგია მომზადდა დაინტერესებულმხარეებთან მჭიდრო კონსულტაციით. სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაიმართა კონსულტაციები დაინტერესებული მხარეების გაფართოვებულ ჯგუფებთან.

1. სიტუაციის ანალიზი

საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა (World Bank, 2020), რომლის მოსახლეობა 3 728.6 მილიონს შეადგენს (საქსტატი, 2021). მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა იცვლება და ახალგაზრდების წილი მცირდება (2011 წელს 21.8%-დან 2018 წელს 17.8%-მდე), რის შედეგადაც, სამუშაო ასაკის მოსახლეობა და აქტივობების დონეც მცირდება.

გასული ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მიუხედავად (მშპ 4.8%-2018; 5%-2019, საქსტატი), საქართველოს შრომის ბაზარს შემდეგი გამოწვევა აქვს, რაც გავლენას ახდენს პროფესიული განათლების სისტემაზე: არასაკმარისი (განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური) სამუშაო ადგილები; თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში; და ურბანული უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. მთლიანი დასაქმების ნახევარი მომსახურების სფეროშია, სოფლის მეურნეობაში 40% და წარმოებაში 10%. უმუშევრობა 2019 წელს 11.6 % იყო, რაც ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო (საქსტატი, 2019). მომსახურების დასაქმების წილი ბოლო ათწლეულში იზრდება სოფლის მეურნეობაში დასაქმების შემცირების ხარჯზე. COVID-19-მა არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე, რამაც შეანელა წინა ათწლეულში მიღწეული პროგრესი. თუმცა პოზიტიურია, რომ საქსტატის შეფასებით, 2021 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 18.7% შეადგინა, ხოლო 2021 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი 12.7%-ია.

ცხრილი 1. შერჩეული ინდიკატორები 2015-2020

ინდიკატორები	2015	2016	2017	2018	2019	2020
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	17.5	3.8
მშპ, რეალური ზრდის ტემპი (%)	2.9	2.8	4.8	4.7	5	-6.2
მოსახლეობა (ათასებში)	3721.9	3728.6	3726.4	3729.6	3723.5	3 716.9
აქტივობის დონე (% 15+)	66.8	66.3	65.8	63.9	62.9	63.7
დასაქმების დონე (% 15+)	57.4	57.1	56.7	55.8	55.7	48.6
უმუშევრობის დონე (% 15+)	14.1	14.0	13.9	12.7	12.8	18.5
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე (% 15-24)	33.8	33.2	28.9	29.9	23.5	-

წყარო: საქსტატი

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივე“-ს მაჩვენებლით 2019 წელს 190 ქვეყნებიდან მე-6 ადგილზეა. 2014-2018 წლებში ქვეყანაში უცხოურმა ინვესტიციებმა გადააჭარბა 8 მილიარდ აშშ დოლარს (MoES 2019), რისი ძირითადი ნაწილი ტრანსპორტის სექტორში განხორციელდა (დაახლოებით 25%)¹, რასაც მოჰყვა ფინანსური და სამშენებლო სექტორები.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (AA 2014) საფუძველს უქმნის გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეფორმების პროცესის დაახლოებას

¹ The Chinese investments in the Anaklia Deep Sea Port and the Poti Free Industrial Zone (adjacent to the Poti Sea Port) (WIIF 2019), as well as the Baku-Tbilisi-Kars railway line.

ევროკავშირის სტანდარტებთან, მათ შორის განათლების სფეროში. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების (SDG) მე-4 მიზნის (ხარისხიანი განათლება), და მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მიღწევისათვის. ასევე, საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ 2030 წლისათვის გაიზარდოს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის.

1.1 პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება

პროფესიული განათლების მართვა ცენტრალიზებულია, თუმცა აქვს ჰიბრიდული მოდელის მახასიათებლები, რადგან იზრდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში სოციალური პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (ETF, 2018). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებაზე, რომლის დანერგვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მისი სააგენტოები - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC), განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS), საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია ნაკლებად ხდება პოლიტიკის განსაზღვრისა თუ დანერგვის პროცესში; ნაკლებია თანამშრომლობის ტრადიციები თუ ნდობა სოციალური პარტნიორების მხრიდან².

კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2019) ითვალისწინებს როგორც კერძო სექტორის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას პროფესიული განათლების სფეროში. დაწესებულებების დონეზე იზრდება კერძო სექტორის ჩართულობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და დუალური ტიპის სწავლებაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმოიხილა სოციალური პარტნიორობის სხვადასხვა მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურ პარტნიორებთან ეფექტურ თანამშრომლობას. ანალიზის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, ერთობლივად დაფუძნდა “პროფესიული უნარების სააგენტო” (28.04.2021), რომელიც თავს მოუყრის ამჟამად სხვადასხვა სააგენტოებსა და სისტემაში გადანაწილებული ფუნქციებს, როგორცაა: პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება/განახლების ხელშეწყობა და კოორდინაცია; სასწავლო რესურსებისა და სახელმძღვანელოების განვითარების ხელშეწყობა; სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული მხარეების კოორდინაცია; საწარმოს სტატუსის მიღების კოორდინაცია; პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მხარდაჭერა; პროფესიული მასწავლებლის განვითარების მხარდაჭერა; კერძო სექტორის წარმომადგენელთა დახმარება/კოორდინაცია კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში, და ა.შ.

2017 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი შეადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის 3.1%-ს. 2017-2020 წლებში განხორციელდა პროფესიული განათლების ბიუჯეტის 22% -იანი ზრდა, რაც საერთო ბიუჯეტის წილის 4% -მდე გაზრდას გულისხმობს. საქართველოს მთლიანი განათლების ხარჯები მშპ-ს წილიდან, 2000-იანი

² Kitiashvili (3016). Evaluation of Functioning of National VET Council in Georgia. ETF (unpublished report)

წლების დასაწყისიდან 2% -3% -მდე მერყეობს. OECD- ის ქვეყნებში საშუალოდ 5% -ს ხარჯავენ. პროფესიული განათლების ხარჯები არასოდეს აღემატებოდა განათლების ბიუჯეტის 3-4% -ს (ცხრილი 2).

ცხრილი 2. განათლებისა და პროფესიული განათლების დაფინანსება

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პროფესიული განათლების დაფინანსება (მთლიანი საჯარო ხარჯები)	23.2	33.0	33.7	36.5	43.8	50.9	64.4

წყარო: საქსტატის გაანგარიშებები, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე + MES 2020.

სახელმწიფო ასევე აფინანსებს ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამებს, რომლებიც გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა შეიძლება განახორციელოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს.

დიდია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა რაც საშუალებას იძლევა აქცენტი გაკეთდეს პოლიტიკის განხორციელებაზე. მნიშვნელოვანია აქტივობების განხორციელება რეგიონულ დონეზე, საბოლოო მომხმარებლების მხარდაჭერა. მონაცემები მიუთითებს დიდ განსხვავებაზე საქართველოში ცენტრალური და ადგილობრივი ინსტიტუციების შესაძლებლობებს შორის. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო სუსტია (ETF, 2019).

პროფესიული განათლების სისტემა ჯერ კიდევ მეტად ორიენტირებულია საჯარო პროფესიულ სექტორზე (ETF, 20219). პროფესიული განათლების მასშტაბის გაფართოება და პოლიტიკის წარმატებული დანერგვა მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსების გაზრდას და არსებული რესურსების უფრო ეფექტურად განკარგვას. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი გზას უხსნის საჯარო-კერძო პარტნიორობას და კერძო სექტორის მეტ თანამონაწილეობასა და ჩართულობას პროფესიული განათლების სფეროში.

პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭირო რესურსების მობილიზებას, შესაძლებლობებისა და საოპერაციო პროცედურების გაუმჯობესებას.

გაერთიანებული სამეფოს კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით შედგა პროექტი, რომელმაც შეიმუშავა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მიდგომები და რეკომენდაციები. ეს მოდელი არის ორიენტირებული განვითარებაზე და შემოაქვს მიღწევებზე დაფუძნებული დაფინანსება. ეს გულისხმობს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუკი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ექნებათ მაღალი მიღწევები, ეს იქნება წახალისებელი განსხვავებული დაფინანსების მექანიზმით.

1.2. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა

პროფესიული განათლების სექტორის ზომა მცირეა და მონაწილეობა დაბალი, რის გამოც პროფესიული განათლებას გავლენა საქართველოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე

შეზღუდულია (ETF, 2019). 2017-2019 წლებში პროფესიულ განათლებას 9 132 -10 371 კურსდამთავრებული ჰყავდა.

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობაზე სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს პროფესიული განათლების ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და მისი შესაძლებლობები რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. 2018-2019 წლებში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჯამური რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით შემცირდა, 5 კერძო კოლეჯს მონიტორინგის საფუძველზე გაუუქმდა ავტორიზაცია (ACT, 2020). 2020 წლის ივლისის მონაცემებით, სულ საქართველოში ავტორიზებულია 92 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, 67 კოლეჯი/საზოგადოებრივი კოლეჯი, 16 უსდ და 8 სკოლა. 2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 37 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) იყო ხელმისაწვდომი. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია, ხოლო კერძო დაწესებულებები არ მოიცავს მცირე ზომის რეგიონებს, როგორცაა მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებისა და მათი ტერიტორიული ერთეულების დაფუძნება/განვითარება, შენდება სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, ხოლო სპეციალური პროგრამის ფარგლებში დევნილი სტუდენტები იღებენ ტრანსპორტირების დაფინანსებას. თუმცა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კვლევამ (2020), აჩვენა განსაკუთრებით დაბალი ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების ქსელზე 17 მუნიციპალიტეტში³, რაც საჭიროებს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას.

2015-2019 წლების ჩარიცხვების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების 45% თბილისში სწავლობს. ხოლო თბილისსა და ბათუმში სწავლობს პროფესიული სტუდენტთა ორი მესამედი; პროფესიული განათლება შეიძლება ნაკლებად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის დიდი ქალაქების გარეთ და სადაც ნაკლებია საჯარო და კერძო კოლეჯები.

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა დაბალია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 10 000 – დან 15 000 – მდე მერყეობდა ყველა ტიპის დაწესებულებაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვები 2018 -2019 წლებში შემცირდა, ძირითადად პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების (ხანგრძლივობა საშუალოდ 9 თვე) მოდულური პროგრამებზე გადასვლის გამო (ხანგრძლივობა საშუალოდ 1.5 წელი).

2017-2019 წლებში დარეგისტრირებულთა დინამიკა კლებადია: 2018 წელს რეგისტრანტთა რაოდენობა 19.6%-ით შემცირდა, ხოლო 2019 წელს 11.9%-ით წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით. ჯამში 2019 წელს 19,312 ადამიანმა გაიარა რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; მათ შორის 79%-მა საჯარო და 21%-მა კერძო დაწესებულებებში. რეგისტრანტებს შორის მამაკაცების წილი 51%-ა. თუმცა აღსანიშნავია 2021 წელს რეგისტრანტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა - 19 000 კანდიდატამდე.

³ ???

იკლებს ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა აბსოლუტური რაოდენობაც: 2017 წ. – 16,570; 2018 წ. – 12,726; 2019 წ. – 11,528. 2019 წელს 7195 სტუდენტმა მიიღო პროფესიული კვალიფიკაცია; 2018 წელს - 10,371; 2017 წელს - 9,132. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტების 62-69% საჯარო დაწესებულებებზე მოდის⁴;

ცხრილი 3. პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხვა კალენდარული წლის მიხედვით

სასწავლებელი	გენდერი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კერძო	კაცი	1466	2376	1949	1960	1866	1879	1991
კერძო	ქალი	2871	3695	2874	2560	2754	2816	2633
საჯარო	კაცი	3630	7398	5953	6412	6757	6612	4480
საჯარო	ქალი	2015	5126	4245	4771	5066	4923	3417
ჯამი		9982	18595	15021	15703	16443	16230	12521
% საჯარო პროფესიული განათლების		57%	67%	68%	71%	72%	71%	63%

წყარო: EMIS ბაზა. მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2012 – 2018 წ.

პროფესიული განათლებაში ნაკლებია 15-18 წლის ახალგაზრდების წილი, თუმცა ის მზარდია. 2017 წელს რეგისტრანტთა მხოლოდ 3%-ს იყო 18 წელზე ნაკლები ასაკის, 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 11% შეადგინა⁵. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ყველაზე დიდი ნაწილი 19-24 წლის ახალგაზრდაა, რომელთა წილი 2019 წლის რეგისტრანტებს შორის 48%-ს შეადგენს. ამავე დროს, 2015 - 2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტების უმრავლესობა 19-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია (55.4%).

პროფესიული განათლების სტუდენტების 60%-ს ჩარიცხვისას 2019 წელს ჰქონდა საშუალო განათლება (61% საჯარო და 56% კერძო). სტუდენტთა 8% -ზე მეტს უკვე ჰქონდა მიღებული პროფესიული განათლების, ხოლო 4% -ს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ქალ სტუდენტებს განათლების უფრო მაღალი დონე ჰქონდათ ვიდრე კაცებს (ETF, 2019).

2016 წლიდან პროფესიული განათლება უფრო ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გახდა შშმ და სსმ პირებისთვის, თუმცა ბენეფიციარების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა. 2015 წლიდან საჯარო კოლეჯებში ადგილების 10% იკავებენ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები. 842 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და 1095 იძულებით გადაადგილებული პირი ჩაირიცხა 2015-დან 2019 წლამდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც პროფესიული ჩარიცხვების 2.9% -ს (EMIS მონაცემთა ბაზა) შეადგენს. ყოველწლიურად შშმ/სსმ სტუდენტებისთვის პროგრამის დასრულების მაჩვენებელი მზარდია. პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების დონე 2019 წლისთვის 70 %-მდე გაიზარდა.

⁴ გაანგარიშებულია EMIS მონაცემთა ბაზის მიხედვით

⁵ პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (2019). ACT, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

2019 წელს 7,223 სოციალურად დაუცველი პირი დარეგისტრირდა გამოცდაზე, რაც იმავე წლისთვის პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებულთა მესამედზე მეტს (37%) შეადგენს; სოციალურად დაუცველ რეგისტრანტებს შორის ყოველწლიურად დაახლოებით 60% პროფესიული სტუდენტი ხდება. თუმცა აღნიშნულ სასწავლებლებში ჩარიცხული სოციალური სტატუსის მქონე პირების წილი სოციალურად დაუცველ მთლიან მოსახლეობაში 2017-2019 წლებისთვის 1.5%-ის ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ სტატუს შეწყვეტილების საკმაოდ დიდ ნაწილს (42%) დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წევრები შეადგენენ (ACT, 2020).

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ზრდის მიზნობრივი პროგრამები სამუშაოს მაძიებლების, მსჯავრდადებულებისა და ყოფილი ყოფილი პატიმრებისთვის. საქართველოში უწყვეტი პროფესიული განათლება წარმოადგენს შრომის ბაზრის აქტიურ პროგრამის ყველაზე მსხვილ ნაწილს. საქართველო 2013 წლიდან უზრუნველყოფს შრომის ბაზრის აქტიურ პროგრამებს.

2019 - 2021 წლებში 207 მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე გაიცა უფლება. 2020 წელს დაიწყო პროგრამების დანერგვა სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები; 38 ასეთი პროგრამის დანერგვა დაიწყო.

ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევის მიხედვით (2020) ახალგაზრდების 67% კმაყოფილებას გამოთქვამს მიღებული განათლების ხარისხით, თუმცა მათი უმრავლესობა პროფესიულ განათლებაზე (60%) ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების პროფესიული განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა (ახალგაზრდობის კვლევა, 2020).

ამ სისტემაში გარკვევა უფრო ადვილი შეიძლება იყოს შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის დიდ ქალაქებში, მაგრამ უფრო რთული მოწყვლადი ჯგუფებისთვის; მაგალითად, ღარიბი/სოფლის მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის, სსმ სტუდენტებისთვის და ა.შ. ახალგაზრდებსა და მშობლებს ხშირად უწევთ არაინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება (ETF, 2019).

კვლევები აჩვენებს რომ ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს განათლების სფეროში ხელი ნაკლებად მიუწვდებათ კარიერის მართვის ხარისხიან სერვისებზე, რაც მათ დაეხმარებოდა ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებაში. პრობლემა კარიერის მართვის სერვისების არასაკმარისი განვითარება, მათი ხარისხი და სამიზნე ჯგუფების მიხედვით შეთავაზება; მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში მე-9 კლასის მოსწავლეების 93%-მა, რომელთაც სწავლა მე-9 კლასის შემდეგ შეწყვიტეს, არაინფორმირებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო კონსულტაციის გარეშე, იმ მოლოდინით რომ ისინი დასაქმდებოდნენ, თუმცა უმეტესობა მათგანი ვერ დასაქმდა⁶. ერთ-ერთ კვლევაში კი გამოკითხული მე-9 კლასელი მოსწავლეების 67% მიუთითებს, რომ მათ არ მიუღიათ

⁶Kitiashvili, Abashidze., & Irine Zhvania (2018). Barriers to Education and Career Choice for Young People with Incomplete Secondary Education in Georgia. *International Journal of Innovation and Research in Educational Sciences* 5, 515-522

არც ჯგუფური და არც ინდივიდუალური კონსულტაცია კარიერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში⁷.

ამჟამად მომზადებულია “განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2025 წწ” სამუშაო დოკუმენტი, რომლის მიზანია კარიერის მართვის ხარისხიანი სერვისების უზრუნველყოფა ყველა პირისთვის, რათა მათ შესძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი პოტენციალის რეალიზება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული ქსელი; მასზე მოქმედ ფაქტორებს შორისაა ასაკობრივი ჯგუფი, გენდერი, სოციალური სტატუსი, შესაძლებლობა. შესაბამისად, საჭიროა პრიორიტეტი მიენიჭოს ამ ჯგუფების პროფესიულ განათლებაში მონაწილეობის გაზრდას.

1.3 პროფესიული განათლება როგორც მიმზიდველი საგანმანათლებლო არჩევანი ახალგაზრდებისთვის

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (62%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება დადებითად, თუმცა ეს პროცესი ნელია (ACT, 2015). კვლევამ აჩვენა, რომ 20%-ს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება, 48% ნეიტრალური, 27% უარყოფითი და 5% არ აქვს პასუხი. კვლევა აჩვენებს რომ პროფესიული განათლების მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება უარყოფითია ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით. პროფესიული განათლება ხშირად არ არის მათი პირველი საგანმანათლებლო არჩევანი, რაც პროფესიული განათლების „სტიგმას“ უკავშირდება⁸. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა სიტუაციის ანალიზის ფარგლებში სტუდენტებთანა და მშობლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში.

ცნობიერების ამაღლების მიზნით ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები: გამოფენები, საიმიჯო რგოლები სოციალურ მედიაში, "პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები", ღია კარის დღეები, უნარების კვირეული და სხვა.

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა (work skills development program), რომელიც 2017 წლიდან ხორციელდება; პროგრამს ძირითადი მიზანია: კარიერის მართვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება; განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა. 2017 წელს 31 კოლეჯის ინიციატივით, საქართველოს 250-ზე მეტ საჯარო სკოლაში 433 კურსი განხორციელდა. ამჟამად პროგრამა ხორციელდება 800-ზე მეტ საჯარო სკოლაში. მე -8 და მე -9 კლასის 10 000 – ზე მეტმა მოსწავლემ 40 – ზე მეტ პროფესიულ სფეროში გაიარა კურსები. პროგრამა მოხვედრილია ევროპის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს შორის.

⁷Kitiashvili ., & Sumbadze (2018). Overcoming Vocational Stereotypes- A step towards raising the attractiveness of VET in Georgia, GESJ: Education Science and Psychology, 3(49). 51-62

ექსტრაკურსული აქტივობები

⁸ Kitiashvili, Sumbadze (2018). Overcoming Vocational Stereotypes-a Step towards Raising the Attractiveness of Vocational Education and Training in Georgia, GESJ, 51-62

სტრატეგიის მომზადების პროცესში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულები ძირითადად კმაყოფილები არიან სწავლის ხარისხით, რაც დაეხმარა მათ დასაქმებაში. ახალგაზრდების 67% კმაყოფილებას გამოთქვამს ზოგადად მიღებული განათლების ხარისხით; მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების 69%, კურსდამთავრებულთა - 56% და სხვა კატეგორიის - 67%.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანიის გააქტიურება, განსაკუთრებით სკოლებში, და არა მხოლოდ დაინტერესებული ადამიანების, არამედ სხვა ფართო ჯგუფების ინფორმირება.

1.4 პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობა - ხარისხი და შესაბამისობა

პროფესიული განათლების წარმატებული მაგალითები არსებობს, მაგრამ ხარისხი განსხვავდება დაწესებულებებს შორის. 2019 წელს დამტკიცდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი; გადამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება და 2020 წელს დამტკიცდა პროფესიული დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტი, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობებისა და ავტონომიის გაზრდაზე. ამჟამად მიმდინარეობს სტანდარტის დანერგვა.

ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია განათლების მიტოვების მაჩვენებელი. 2018 წელს, მიტოვების მთლიანი მაჩვენებელი 27% იყო (კერძო 35% და საჯარო 35%), ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი 68% (კერძოში 75% და საჯარო პროფესიულ კოლეჯებში 66%, MoES 2019). სწავლის მიტოვების საკითხი უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს და შესაბამისი სერვისების განვითარებას, რაც მიტოვების მაჩვენებელს შეამცირებდა.

ახალი სტანდარტების დანერგვის პარალელურად იწყება პროფესიული განათლების ხარისხის გაზომვა საერთო ევროპული (EQAVET) ინდიკატორების გამოყენებით. ამ მხრივ პირველი კვლევა 2021 წელს ჩატარდება; მომავალ წლებში შესაძლებელი იქნება ერთიანი ინდიკატორებით დინამიკის გაზომვა და შედეგების შედარება განათლების ევროპული სივრცის, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, რომლებიც ხარისხის გაზომვის ანალოგიურ ინდიკატორებს იყენებენ.

არსებული რეგულაციები - სტრატეგიის სიტუაციური ანალიზის ფარგლებში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლებს აზრით პროფესიული განათლება არაა საკმარისად მორგებული, მოქნილი და ორიენტირებული კერძო სექტორზე. სისტემა პასუხობს არა მთელი სექტორის, არამედ ცალკეული ბიზნესის საჭიროებებს; მნიშვნელოვანია ბიზნესიც ჩაერთოს ხარისხის კონტროლის პროცესში. მომზადება-გადამზადების პროგრამების გაფართოება პროფესიულ სასწავლებლებს დაეხმარება უფრო მოქნილად უპასუხონ კერძო სექტორის საჭიროებებს.

ფოკუს ჯგუფებმა ასევე აჩვენა, რომ ადმინისტრაცია პრობლემებს აწყდება შესყიდვების პროცესში რომელიც ხშირად გართულებული პროცესია და სწავლების დაგეგმვას უშლის ხელს; პროგრამებს, რომელთაც აქვს მაგალითად, ველზე ექსპედიციები, ბევრი ისეთი ხარჯია, რომელთა დაგეგმვა ერთი წლით ადრე შეუძლებელია (მაგ. ამინდზეა დამოკიდებული) და ამიტომ ვერ გეგმავენ შესყიდვებსაც. (ფოკუს ჯგუფი პროფესიული

კოლეჯების ადმინისტრაციასთან, 2020). ადმინისტრაციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონისგან უნდა განთავისუფლდნენ პროფესიული სასწავლებლებიც, ისევე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი განათლების დაწესებულებების შემთხვევაშია.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები - ტექნიკური აღჭურვილობის მინიმალური სტანდარტები განსაზღვრავს საჭირო აღჭურვილობასა და მოწყობილობებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) ახორციელებს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვას. ამ პროცესს მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

კერძო სექტორის შეხედულებით (ფოკუს ჯგუფები, 2021 წ) თანამედროვე დანადგარების გამოყენება პროფესიულ სასწავლებლებს ხშირად უჭირთ. სისტემას სჭირდება მეტი რესურსი (მატერიალური და ფინანსური), მართვისა და კოორდინაციის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება - დაინტერესებული მხარეების ნაწილის მოსაზრებით საგანმანათლებლო სტანდარტები და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები სრულად არაა მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რადგან არ არსებობს შრომის ბაზრის ღრმა კვლევები, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამის რესურსები არ აქვთ.

სწავლების პროცესში გამოწვევაა მოძველებული სასწავლო რესურსები, სასწავლებლების უმეტესობას უცხოური ენის პრობლემა აქვს, რის გამოც ვერ ახერხებენ ახალი სასწავლო რესურსების მომზადებას ანდა არსებულის განახლებას.

დუალური მიდგომით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები 2016 -2017 წლებში 3 – დან 23 – მდე გაიზარდა თუმცა ეს მაინც მცირეა. 2020 წლის ბოლოს მონაცემებით, სისტემაში დანერგილია 34-მდე დუალური საგანმანათლებლო პროგრამა. დუალური პროგრამებში ჩართულობის ნაკლებობას მონაწილეები ხსნიან პროცედურული სირთულეებითა და ბიზნესისთვის ნაკლები სარგებლით. ასევე, დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო COVID-19 პანდემია, რამაც, არსებული გამოწვევების ფონზე ბიზნესის მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში ნაკლებად პრიორიტეტული გახადა.

არ არსებობს საკმარისი სტიმულები, განსაკუთრებით სექტორის სპეციფიკაზე მორგებული, საიმისოდ, რომ კერძო სექტორი ჩაერთოს დუალურ განათლებაში.

პროფესიული განათლების მასწავლებლები - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი და სტატუსი. 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით საქართველოში 3260 პროფესიული განათლების მასწავლებელი იყო (EMIS). მასწავლებლების სამუშაო სტატუსი არის მყიფე, ნახევარ განაკვეთზე მუშაობა საკმაოდ ხშირია და უწყვეტი პროფესიული ანდა კარიერული წინსვლის განვითარების შესაძლებლობაც ნაკლები⁹. პროფესიული მასწავლებლების 12.4%-33% აფიქსირებს

⁹ ფოკუს ჯგუფები, მსოფლიო ბანი, 2020

უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებას სწავლება-შეფასების საკითხებთან დაკავშირებით¹⁰.

პროფესიული სტუდენტები და მშობლები პროფესიულ მასწავლებლებს ძირითადად აფასებენ, როგორც „პროფესიონალებს“, „მაღალკვალიფიციურებს“. თუმცა აღინიშნა ახალგაზრდა მოტივირებული პედაგოგების ნაკლებობა. მათი ნაწილის აზრით, მოქმედი პედაგოგები არ არიან სტუდენტებისთვის მოტივატორები. საჭიროა უკვე წარმატებული ადამიანების ჩართვა, თუმცა მათზეც გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპები. პროგრამები, სწავლების მეთოდები და პედაგოგები არ არიან მორგებული 21-ე საუკუნის „მომავლის პროფესიებს“ და უნარებს (მსოფლიო ბანკის კვლევა, 2020).

COVID-19-ის გამოწვევამ კიდევ უფრო ნათლად აჩვენა რომ მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, დისტანციური, ჰიბრიდული, ონლაინ პლატფორმებისა და თანამედროვე სასწავლო ონლაინ პროგრამების გამოყენება სწავლება-შეფასების პროცესში, დიგიტალიზაციის ხელშეწყობა. ეს პროცესი კოვიდის პერიოდში დაიწყო, თუმცა მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების გაფართოება, ონლაინ სწავლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფა.

აპლიკანტები - პროფესიული მასწავლებლები მიუთითებენ სტუდენტების კონტინენტის დაბალ მოტივაციასა და აკადემიური მოსწრებაზე. დაბალია პროფესიულ განათლებაში შემსვლელთა განათლების დონე; სტუდენტები კოლეჯებში აბარებენ იმის გამოც, რომ უმაღლესში ვერ ხვდებიან. ასევე არ ხდება ჯეროვნად მოტივირებული სტუდენტების წახალისება, მაგალითად სტიპენდიების დანიშვნა, რაც პროფესიულ განათლებაში წარმატებული სტუდენტების მოზიდვას შეუწყობდა ხელს (ფოკუს ჯგუფები, 2021 წ).

1.5. ახალგაზრდების განათლებიდან შრომის ბაზარზე გასვლა და დასაქმების მხარდაჭერა

შრომის ბაზრის ყველა ინდიკატორი გვიჩვენებს ახალგაზრდების რთულ გადასვლას განათლებიდან დასაქმებაზე, რაც ხელს უწყობს უმუშევრობას ან უმოქმედობას (ე.წ. NEET). ახალგაზრდების დაახლოებით 40% პირველ სამსახურს სწავლის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ იწყებს (ახალგაზრდების დასაქმების კვლევა, MoLHSA, 2016); გარდამავალი პერიოდი საშუალოდ 1-2 წელი გრძელდება. განათლებიდან სამუშაოზე გადასვლის მხარდამჭერი ღონისძიებები შეზღუდულია, მათ შორის კარიერული კონსულტაცია. საერთო ჯამში სამუშაოს კომპეტენტური ძიებისა და დამსაქმებლებთან მოლაპარაკების უნარები ხშირად მწირია; ახალგაზრდობა არასაკმარისად არის ინფორმირებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა: გამოკითხული 18-25 წლის ახალგაზრდების ნახევარი - 50%, ხოლო 26-29 წლის ახალგაზრდების 31% არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. როგორც პროფესიული სტუდენტები ფიქრობენ ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი უნარ-ჩვევებისა (26%) და დასაქმების სერვისების არ არსებობაა (25%); კურსდამთავრებულებიც ფიქრობენ რომ მათი უმუშევრობის მიზეზი დასაქმების სერვისებისა (37%) და ნაცნობების/ნათესავების არარსებობაა (23), ხოლო დაახლოებით 1/3-ს არ სურს დასაქმება (32%) ან არ აქვს კონკრეტული მიზეზი (21%).

¹⁰ პროფესიული მასწავლებლების ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი, 2016, MCA, TPDC

2012 წლიდან სისტემატურად ტარდება კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა. 2017-2019 წლის მონაცემები მოცემულია ცხრილში #1. 2018 წელს გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით, თუმცა 2019 წელს 49%-მდე შემცირდა, რაც სავარაუდოდ კოვიდის პერიოდში დასაქმების სირთულეებს უკავშირდება. საერთო მაჩვენებელი 2017-2019 წწ დაახლოებით 54%-ია.

ცხრილი #1 2017-2019 წწ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმება %

	ქალი %	კაცი %	სულ %
2017	55	64	60
2018	54	70	62
2019	46.7	51.1	49

წყარო: კურსდამთავრებულთა კვლევა

დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თბილისი, რაც დასაქმებულთა დაახლოებით 1/3 -ს შეადგენს. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთს.

NEET –ის (ახალგაზრდები როლებიც არ არიან განათლებაში, დასაქმებაში ან ტრენინგში) ყველაზე დიდი წილი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შორისაა (თითქმის ნახევართან); შემდეგი ყველაზე მოწვევადი ჯგუფია უმაღლესი განათლებისა (თითქმის 40%) და საშუალო განათლების კურსდამთავრებულები (თითქმის 32%) (ETF, 2019). ეს ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების მიღება ახალგაზრდობას არ იცავს მოწვევადობისგან. NEET- ის წილი 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27%. ის ასაკთან ერთად მატულობს, 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს. უფრო მეტი ქალია NEET, ვიდრე კაცი.

ETF უნარების შეუსაბამობის კვლევის მიხედვით (ETF 2019) საქართველოში აღინიშნება როგორც ზედმეტი, ასევე ნაკლები კვალიფიკაციის პრობლემა. მაღალი კვალიფიკაცია ყველაზე გავრცელებულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის (თითქმის 43%), შემდეგ მოდიან პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები (თითქმის 38%). დაბალი კვალიფიკაცია ყველაზე გავრცელებულია საშუალო განათლების კურსდამთავრებულთა შორის (თითქმის 39%), შემდეგ მოდიან უნივერსიტეტისა და პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები (დაახლოებით 28%).

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021) შესრულების შეფასებისას გამოიკვეთა პროფესიული განათლების განვითარების და შრომის ბაზართან თავსებადობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა, რაც უკავშირდება მყარი საკანონმდებლო, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნას.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების სამუშაო ადგილების ნაკლებობის დროს მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა; ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის საქართველოს ანალოგიური დონის მქონე ქვეყნებში დასაქმებულთა დაახლოებით 5% მეწარმეა, მაგრამ საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 1% წარმოადგენს მეწარმეს (მსოფლიო ბანკი, 2018). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეწარმეობის უნარების განვითარების გარკვეული გამოცდილება არსებობს, რადგან მეწარმეობის კომპეტენციები პროფესიულ განათლებასა და ზოგად სასწავლო პროგრამებში 2015 წლიდან არის ინტეგრირებული, ახალგაზრდებს

მეწარმეობის უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. მეწარმეობის სწავლების გაძლიერების საჭიროება სიტუაციის ანალიზის პროცესში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებშიც გამოიკვეთა.

1.6. პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევების შეჯამება

1. პროფესიული განათლების სექტორის მცირე ზომა და მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი რის გამოც პროფესიული განათლების გავლენა საქართველოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე შეზღუდულია; ეს საკითხი უკავშირდება ხელმისაწვდომობას და ინკლუზიურობას, არსებულ გეოგრაფიულ, ფინანსურ, ინფორმაციულ და აკადემიურ ბარიერებს, საგანმანათლებლო ქსელის ნაკლებ შესაძლებლობას განსაკუთრებით რეგიონებში; პროფესიული განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის ღარიბი, მოწყვლადი ოჯახებიდან, დიდი ქალაქების გარეთ (რეგიონებში) და ა.შ.
2. მომზადებული კადრების კონკურენტუნარიანობის პრობლემა, რაც საჭიროა კურსდამთავრებულების დასაქმების/თვითდასაქმებისთვის, სოციალური ინკლუზიისთვის; ეს გამოწვევა უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორცაა: პროფესიული განათლების მოდერნიზება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შესაბამისობა, რესურსების პრობლემა, სწავლა - შეფასებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ხარისხის პრობლემა, საკვანძო კომპეტენციების განვითარება, დიגיტალიზაცია; მასწავლებლების, ინსტრუქტორების კომპეტენტურობა.
3. ახალგაზრდების რთული გადასვლა განათლებიდან შრომის ბაზარზე, პირველი სამუშაოს პოვნის პრობლემა რაც იწვევს უმუშევრობას ან უმოქმედობას (NEETs). ფაქტორებს შორის არის ახალგაზრდებისთვის გრძელ და მოკლევადიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობა, უნარების მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობა, დასაქმებისთვის საჭირო ტექნიკური და სოციალური უნარების ნაკლებობა; ამ ფაქტორებს უფრო მეტი უარყოფითი გავლენა აქვთ მოწყვლად ჯგუფებზე (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ღარიბი მოსახლეობა). წარმატებული მაგალითები არსებობს, თუმცა ახალგაზრდებს სამუშაო გამოცდილების მისაღებად არასაკმარისი შესაძლებლობები აქვთ, როგორცაა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლა, სტაჟირება, სამუშაო პრაქტიკა, მოხალისეობა, სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ახალგაზრდების განათლებიდან სამუშაოზე გადასვლის მხარდამჭერი ღონისძიებები და სერვისები ხშირად არ არის მათზე მორგებული.
4. პროფესიული განათლების მართვა - კერძო სექტორის ნაკლები ჩართულობა და პასუხისმგებლობების განაწილება პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში; სისტემური და სისტემატური მიდგომის ნაკლებობა;
5. რეფორმის დანერგვის პროცესის მდგრადობის საკითხი როგორც სისტემის ასევე დაწესებულებების დონეზე. რეფორმების წარმატებით განხორციელება მოითხოვს მდგრად ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს; მეტია ფოკუსი პოლიტიკის შემუშავებაზე, ვიდრე პოლიტიკის განხორციელებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში;

2. სტრატეგიის ხედვა, მიზანი და ამოცანები

სტრატეგიის ხედვა

მდგრადი, ინოვაციური და ინკლუზიური პროფესიული განათლება ადამიანური კაპიტალის, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების და ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად

მიზანი: ყველა ადამიანისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ

ამოცანა 1. სერვისების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების ბენეფიციარების, საზოგადოებისა და ეკონომიკის მოლოდინებისა და საჭიროებების შესაბამისად

ამოცანა 2. პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 3. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი მმართველობის მოდელის დანერგვა

ამოცანა 1. სერვისების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების ბენეფიციარების, საზოგადოებისა და ეკონომიკის მოლოდინებისა და საჭიროებების შესაბამისად

1.1 პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ნკლუზიურობის ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უკავშირდება გეოგრაფიული ქსელს და ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ასაკობრივი ჯგუფი, გენდერი, სოციალური სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი, სტუდენტების შესაძლებლობები და სხვა. პროფესიული განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასაკის, სქესის, სოციალური წარმომავლობის, რელიგიის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის, პოლიტიკური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. ამ მახასიათებლების მიხედვით პროფესიული განათლების მომხმარებლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; შესაბამისად სტრატეგიაში ხაზგასმულია სამიზნე ჯგუფების საჭიროებების კვლევა და შესაბამისი, პერსონიფიცირებული, საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა. ყველას უნდა ჰქონდეს სწავლის, დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობა. გადაიხედება და გადამუშავდება ერთიანი პროფესიული ტესტირების მიდგომა და მეტად მოერგება პროფესიული განათლების სპეციფიკას. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას ყურადღება მიექცევა სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს, სსსმ და შშმ პირებს, რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებსა და სხვა. უზრუნველყოფილი იქნება გენდერული თანასწორობა განსაკუთრებით ისეთ სფეროებში როგორცაა STEM სფერო, რისთვისაც გადაიხედება და გაძლიერდება შესაბამისი მექანიზმები.

ინსტიტუციური და პროგრამული მრავალფეროვნების ხელშეწყობა

პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციებისა და პროგრამების მრავალფეროვანი ქსელი, რათა ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი სამიზნე ჯგუფების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სტრატეგიაში ხაზგასმულია არსებული საჯარო საგანმანათლებლო ქსელის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. იმის გამო, რომ პროფესიულ კვალიფიკაციებზე მოთხოვნის ზუსტი პროგნოზირება რთულია და, როგორც წესი, რეგიონების მიხედვით განსხვავდება პროფესიული განათლების სისტემების რეაგირება დამოკიდებული უნდა იყოს არა ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე, არამედ პროვაიდერების მრავალფეროვნებაზე, რომლებიც მოტივირებულნი არიან დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ კერძო პროვაიდერებს, რომელთაც, საჯარო კოლეჯების მსგავსად, უნდა დააკმაყოფილონ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმწიფო სტანდარტები; ამდენად სტრატეგიაში აქცენტი კეთდება ერთის მხრივ საჯარო საგანმანათლებლო ქსელის ოპტიმიზაციაზე და მეორეს მხრივ, კერძო პროვაიდერების ჩართულობის გაზრდაზე.

სტრატეგიის ფარგლებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიცირებას და არსებული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვის მასშტაბის გაფართოებას. უზრუნველყოფილი იქნება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა (პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) და პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების მიწოდება.

გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის, მშობლების, სტუდენტების გარკვეულ ნაწილს უპირატესობას მიანიჭებს უმაღლეს განათლებას პროფესიული განათლებასთან შედარებით, რადგან ეს მათთვის უფრო მიმზიდველი ალტერნატივაა. ამ ტენდენციის საპასუხოდ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება მეტად დაუკავშირდეს უმაღლესი განათლების საფეხურს; ეს შესაძლებელია მოკლე ციკლის პროგრამების (EQF/NQF -მე-5-დონე) სტიმულირებით, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაუმჯობესებას. ამ შესაძლებლობის გაფართოების პოტენციალი არსებობს განსაკუთრებით თუ ამ პროცესში საჯაროსთან ერთად კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ჩაერთვებიან.

2019 წლიდან ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება გადავიდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებაზე. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი უპირატესობაა არა მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, არამედ სწავლის შედეგებზე ორიენტირება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გამოყენება. მოდულურმა საგანმანათლებლო პროგრამებმა მეტი მოქნილობა შემოიტანა პროფესიულ განათლებაში.

2016 წლიდან სისტემაში ინერგება სწავლების დუალური მიდგომები სხვადასხვა სექტორში; გაგრძელდება მუშაობა დუალური სწავლების მიდგომებისა და კერძო და საჯარო პარტნიორობის მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით; გაიზრდება დუალური, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით დანერგილი პროგრამების რაოდენობა და სწავლების ხარისხი.

ამ მოქნილობას ემატება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლება, რის შემდეგაც გაიცემა სახელმწიფო სერთიფიკატი. საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიცირებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, მომზადება-გადამზადების პროგრამების მიწოდების შესაძლებლობა გარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ასევე მიეცა ნებისმიერ იურიდიულ პირს, მათ შორის კერძო კომპანიას, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს,

“პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა პროფესიული განათლების და ზოგადი განათლების ინტეგრირება. 2017-2019 წლებში ორი ინტეგრირებული პროგრამის პილოტირება განხორციელდა, პროგრამებზე სტუდენტთა მიღება კი დაიწყო 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში. ეს ინიციატივა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიულ განათლებაში ჩართულობის გაზრდას, რადგან შემცირდება პროფესიულ განათლებასა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ჩარიცხვას შორის კონკურენცია 15-18 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

არაფორმალური განათლების აღიარება (VNFIL) მნიშვნელოვანი მექანიზმია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით; უკვე მომზადებულია არაფორმალური განათლების აღიარების საკანონმდებლო საფუძველი, მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 4 დაწესებულებას უკვე მოპოვებული აქვს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების უფლება. შესაბამისად, სტრატეგიის ფარგლებში აქცენტი გაკეთდება არაფორმალური განათლების აღიარების უზრუნველყოფაზე, რაც მსურველებს შესაძლებლობას აძლევს დაადასტურონ საკუთარი კომპეტენციები და შეძლონ სისტემაში შესვლა. მთლიანობაში, ეს სისტემა გააუმჯობესებს ზრდასრულთა განათლებაზე ხელმისაწვდომობას საქართველოში.

პროფესიული განათლების სისტემა ხელს შეუწყობს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მობილობას და კავშირს სხვადასხვა დონის კვალიფიკაციებს შორის; ასევე, მნიშვნელოვანია ზოგად და უმაღლეს განათლებასთან კავშირის გაძლიერება. პროფესიული განათლების სისტემა ხელს შეუწყობს კარიერული წინსვლისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობას.

1.2 პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება, პროფესიული განათლების, როგორც პირველი საგანმანათლებლო არჩევანის პოპულარიზება

პროფესიული განათლების მიმზიდველობაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორცაა პროფესიული განათლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, დაბალი სტატუსი, არსებული სტერეოტიპები, ნაკლები ინფორმირებულობა მისი შესაძლებლობების შესახებ და ა.შ.

ამ მიმართულებით მიღწეული ცვლილების მიუხედავად მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ინოვაციური და მრავალფეროვანი ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით მოხდება წარმატებული მაგალითების მეტად პოპულარიზება; პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მისი მოდერნიზება დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ერთ-ერთი საკეთესო გზაა პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად. საინტერესო მოდულები და საგანმანათლებლო პროგრამები, მოქნილი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიმზიდველობის გაუმჯობესების ფაქტორებად იქნება გამოყენებული. სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდას.

პროფესიული განათლების მიმართ სტერეოტიპების შემცირების მიზნით გაძლიერდება თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითმმართველობებსა და კერძო სექტორს შორის. გაიზრდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მასშტაბები, ინტენსიური გახდება სკოლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, კერძო სექტორს, სექტორულ ასოციაციებს შორის სისტემატური და სტრუქტურული თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას.

პოპულარიზაციის კამპანიები გააქტიურდება განსაკუთრებით სკოლებში, და არა მხოლოდ მომავალ აპლიკანტებთან, არამედ მშობლებთან/მეურვეებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. ხშირად მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიმართ რაც გავლენას ახდენს მოსწავლეების საგანმანათლებლო არჩევანზე.

სახელმწიფომ უნდა გააფართოვოს სამიზნე ჯგუფები და მოიცვას არა მხოლოდ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები არამედ დასაქმებული პირებიც, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, უმუშევრები და სხვა.

პროფესიული განათლების პოპულარობა დარგების მიხედვით განსხვავებულია; შესაბამისად, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვისას მოხდება დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების გარდა, უწყვეტად მოხდება დანერგილი ღონისძიებების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და მათი გაუმჯობესება.

1.3 პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის დასაქმებასა და განათლებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მხარდაჭერი სერვისების უზრუნველყოფა

კარიერული მართვის ერთიანი სისტემა აერთიანებს განათლების ყველა საფეხურს, მათ შორის პროფესიულ განათლებას. კარიერის მართვის სტრატეგიის მიზანია განათლების სფეროში კარიერის დაგეგმვისა და მართვის ხარისხიანი და უწყვეტი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისა და ზრდასრულისთვის, რათა მათ შეძლონ ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი პოტენციალის რეალიზება მთელი ცხოვრების მანძილზე. მაღალი ხარისხის კარიერული ინფორმაცია და კარიერულ კონსულტაცია ხელმისაწვდომი იქნება განათლების ყველა საფეხურზე. სწავლის სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტებს დასჭირდებათ კონსულტაცია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც შემდგომ განათლებასთან ასევე დასაქმებასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პირველად შედიან შრომის ბაზარზე. შესაბამისად, იგეგმება, რომ კარიერული კონსულტაცია გაგრძელდეს სამუშაოს ძიების პერიოდშიც, განსაკუთრებით პირველი დასაქმების დროს.

კარიერული მართვა ვერ იქნება ეფექტური კვალიფიციური კადრებისა და შესაბამისი რესურსების გარეშე; პრიორიტეტულია კარიერული ინფორმაციისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა პირისთვის ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

წინამდებარე სტრატეგიის დანერგვის პროცესში აქცენტი გაკეთდება კარიერული სერვისების მიწოდების პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ კოორდინაციაზე, როგორცაა საგანმანათლებლო დაწესებულებები, დასაქმების სერვისები, დამსაქმებლები, ადგილობრივი თვითმართველობა და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკა დინამიურად ვითარდება, იცვლება შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რაც პროფესიული განათლების მხრიდან სწრაფ და მოქნილ რეაგირებას საჭიროებს. პრიორიტეტულია განათლებისა და ბიზნეს პარტნიორობის განვითარება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანია სერვისების შეთავაზება რაც სტარტაპების, მეწარმეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნება სხვადასხვა სახის სოციალური სერვისები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტების სოციალურ მობილიზებას, თვითრეალიზებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. სოციალურ სერვისებს შორისაა საბინაო დახმარება, საგანმანათლებლო დახმარება, მთ შორის მგზავრობის ან სხვა სახის ფინანსური დახმარება, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის მომსახურება და სხვა.

სოციალური სერვისი არა მხოლოდ სწავლის, არამედ დასაქმების პერიოდშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რადგან სტუდენტებს დაეხმარება სამუშაოსთან დაკავშირებული სირთულეების გამკლავებაში, გუნდურად მუშაობაში, თვითრეგულაცასა და სხვა.

1.4. პროფესიული კვალიფიკაციებისა და პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

პრიორიტეტულია პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება თუ რეორგანიზება შრომის ბაზრის, საჭიროებებისა და ეკონომიკური

განვითარების შესაბამისად. წახალისდება ინოვაციური კვალიფიკაციის განვითარება და შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა, რომელზედაც შესაძლებელია ამჟამად შრომის ბაზრის მოთხოვნა არ არის მაგრამ მნიშვნელოვანია ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. ეს ხელს შეუწყობს ამ კვალიფიკაციებზე მოთხოვნის სტიმულირებასაც. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ დამსაქმებლები, დარგობრივი ასოციაციები.

უმუშევრობის მაღალმა დონემ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა და გლობალიზაციამ, წარმოების პროცესების რეორგანიზაციამ, მოსახლეობის დაბერებამ და ბოლოს, COVID -19 პანდემიამ, მნიშვნელოვნად შეცვალა მოთხოვნები უნარებზე ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის საქართველოში. სიტუაციური ანალიზიც აჩვენებს, რომ პროფესიულ განათლებას სჭირდება მოდერნიზება, რათა ხელი შეუწყოს სოციალურ პროგრესს და უპასუხოს ცოდნაზე დამყარებული, მწვანე და ინკლუზიური ეკონომიკის მოთხოვნებს. ინოვაციებისა და თანამედროვე მიდგომების ასახვა უნდა გახდეს პრიორიტეტი კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში.

1.5. პროფესიული განათლების სტუდენტების/მსმენელების მომზადება დასაქმებისათვის, მათი აღჭურვა ფართო სპექტრის უნარებითა და კომპეტენციებით

მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების და პროგრამების მეტად მორგება ქვეყნის, რეგიონის/მუნიციპალიტეტების არსებულ და სამომავლო პრიორიტეტებზე, უცხოურ ინვესტიციებსა და საწარმოთა საჭიროებებზე.

მნიშვნელოვანია პროფესიულ კვალიფიკაციებზე **მოთხოვნა-მიწოდების სისტემატური** და სისტემური კვლევა, შესაბამისი მექანიზმების განვითარება და დისბალანსის შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას; უმუშევარი ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი თვლის რომ მათ დასაქმებაში პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარება დაეხმარებოდა (ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევა, 2020).

პროფესიულ კვალიფიკაციებზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შრომის ბაზრის კვლევა როგორც სისტემის, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ/გააანალიზონ ადგილობრივი თუ რეგიონული ბაზრის საჭიროებები და ამის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროგრამის განხორციელების თაობაზე. მნიშვნელოვანია დაწესებულებების შესაძლებლობები გაძლიერება კვლევის მიმართულებით, რათა შეძლონ სანდო კვლევების ჩატარება ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივ დამსაქმებლებთან და სექტორულ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ხარისხიანი განათლება და უნარების განვითარება მოთხოვნა-მიწოდების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ღონისძიებებს შორის არის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სისტემის დანერგვა, დუალური სწავლების ხელშეწყობა, საკვანძო კომპეტენციების განვითარება და თანამედროვე პროფესიების სწავლება.

შრომის ბაზარზე იზრდება მოთხოვნა ისეთ კადრებზე, რომლებიც ფლობენ არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, არამედ ზოგად და ტრანსფერულ უნარებს, ციფრულ კომპეტენციებს, უცხო ენას, სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს, აქვთ კულტურული და საქმიანობის ცნობიერების მაღალი დონე, დამოუკიდებლად სწავლის უნარი და სხვა; უნარებისა და

კომპეტენციების ამ სპექტრის განვითარება მხოლოდ ფორმალური განათლების ფარგლებში შეუძლებელია; ამიტომ საჭიროა არაფორმალური განათლების შესაძლებლობის გათვალისწინება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია ზოგადი კომპეტენციები, თუმცა მნიშვნელოვანია ამ პროცესის გაგრძელება და ევროკავშირის ძირითადი კომპეტენციების ჩარჩოს რვა კომპეტენციის დანერგვა; ამ კომპეტენციების სწავლების გაძლიერება საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამდენად სტრატეგია უპასუხებს შრომის ბაზარზე ახალი უნარების განვითარების საჭიროებას, მათ შორის ციფრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარების, რომელიც პროდუქტიულობის, კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური შესაძლებლობების მთავარი მამოძრავებელია. შრომის ბაზარზე იზრდება ციფრული ინსტრუმენტებისა და ხელოვნური ინტელექტის როლი, რაც დასაქმებულებში შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას მოითხოვს. COVID-19 პანდემიამაც აჩვენა, რომ ციფრული კომპეტენციების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზარზე უმნიშვნელოვანესია. ამისათვის პროფესიული განათლების სისტემაში ციფრული კომპეტენციების განვითარება ეტაპობრივად და შესაბამისი სამოქმედო გეგმის საფუძველზე მოხდება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციით.

გასათვალისწინებელია, რომ მწვანე ტრანსფორმაცია მოითხოვს არა მხოლოდ ახალი რეგულაციების, საინვესტიციო და ინსტიტუციური ჩარჩოების შემუშავებას, არამედ პროფესიული განათლების მეტ ჩართულობას ამ პროცესში, ახალი, 'მწვანე' უნარების განვითარებას მწვანე განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად; ახალ უნარებს შორისაა გარემოსდაცვითი ცნობიერება, კომპეტენციები, ინოვაციები და მეწარმეობა; მწვანე ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანია ახალი ბაზარის შესაძლებლობებს გაზრდის, ხელს შეუწყობს მწვანე ინოვაციებს და მწვანე ზრდას, ხოლო ბოლო ჯამში - სამყაროს უფრო მდგრად განვითარებას.

თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამეწარმეო უნარების განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სამეწარმეო განათლების კონცეფცია პროფესიული განათლების სფეროში; სამეწარმეო უნარების განვითარება ამჟამად ხდება მოდულის ფარგლებში, მაგრამ მნიშვნელოვანია ამ უნარების განვითარება არაფორმალური განათლების აქტივობებითაც, როგორც გამჭოლი კომპეტენციების. საკვანძო კომპეტენციები ინტეგრირებულია პროფესიული მასწავლებლის მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებშიც, რომელთა განხორციელება ამ სტრატეგიის ფარგლებში მოხდება. სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვანია ადრეული ასაკიდან დაიწყოს (მაგ. საშუალო სკოლებში) და გაგრძელდეს განათლების შემდგომ საფეხურებზეც.

პროფესიული განათლება ხელს შეუწყობს თანამედროვე მოქალაქისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, რაც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას საზოგადოებაში იმოქმედონ პასუხისმგებლობით და ისეთი ღირებულებების შესაბამისად, როგორცაა გამჭვირვალობა, გახსნილობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ღირსება, თანასწორობა, ტოლერანტობა და ა.შ. მნიშვნელოვანია მოქალაქეს განუვითარდეს მრავალფეროვანი სოციალურ-ემოციური და თვითგამოხატვის კომპეტენციები, მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახისა და თემის, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

განსაკუთრებული ყურადღება და რესურსები უნდა დაეთმოს რეგიონებს, სადაც მეტი გამოწვევები უკავშირდება საკვანძო კომპეტენციების (მაგ. ციფრული ცოდნა, უცხო ენები, სოციალური უნარები) განვითარებას.

მნიშვნელოვანია პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სტუდენტებს შესთავაზონ მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების, ექსტრაკურსული აქტივობები, სტუდენტური წრეები და სხვა. ამგვარ აქტივობებზე დაბალია ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით რეგიონებში, რაც სიტუაციის ანალიზში ასახულია.

შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად კადრების მომზადების გარდა მიწოდების მხარემ შესაძლებელია სტიმულირება გაუკეთოს გარკვეული სფეროების განვითარებას მაღალკვალიფიციური, ხარიხიანი კადრების მომზადების გზით. ამისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური თანამედროვე პროფესიების შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხოურ შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობა. ამისათვის საჭიროა პროფესიული განათლების სისტემაში თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების, გათვალისწინება, უცხოური ენის სწავლების გაძლიერება, ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების დანერგვა.

დასაქმებასთან/თვითდასაქმებასთან საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა

დასაქმების/თვითდასაქმებისთვის საჭირო სხვადასხვა უნარების განვითარებისას, როგორცაა პროფესიული, ტექნიკური, ზოგადი, სოციალურ-ემოციური, ციფრული და სხვა მაქსიმალურად მოხდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. პროფესიული ცოდნისა და უნარების გარდა თვითდასაქმებულებს სჭირდებათ თავდაჯერებულობა, კრეატიულობა, შრომის ბაზრის რეალისტური შეფასება, ბიზნესის მართვის ძირითადი უნარ-ჩვევები და რისკების მართვა. გარდა ამისა, ბიზნესის წამოწყება მოითხოვს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და მართვის უნარების ფლობას.

თუ საქართველოში ახალგაზრდების დასაქმებისა და თვითდასაქმების შემთხვევას შევადარებთ Pohl და Walther-ის (2007 წ.)¹¹ სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის მოდელს, ის მიეკუთვნება პოსტსოციალისტურ/გარდამავალ კლასტერს, რომელსაც ახასიათებს: შედარებით კარგად განვითარებული ზოგადი განათლება, ნაკლებად განვითარებული პროფესიული განათლება (სკოლაზე ან კომპანიაზე დაფუძნებული), სუსტი კავშირები განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის, დროებითი დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა. ქვეყნები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ ამ მოდელს, ახალგაზრდების დასაქმებისთვის დიდ ყურადღებას აქცევენ დასაქმების სუბსიდიებს, სამუშაო გამოცდილების შეძენასა და შეგირდობას.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლისა და შეგირდობის გარდა, მნიშვნელოვანია პირველი სამუშაო გამოცდილების სხვა ალტერნატივების შეთავაზებაც, როგორცაა მაგალითად, სტაჟირება, თვითდასაქმების პილოტირება, სოციალური მეწარმეობის ინიციატივები და მცირე ბიზნესის წამოწყება. სხვა არსებული პროგრამები (ე.ი. სტაჟირება საჯარო სამსახურში) შეიძლება უკეთ დაუკავშირდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების სამსახურს. მნიშვნელოვანია სოციალური მეწარმეობის განვითარების სტიმულირება, ვინაიდან ეს დაეხმარება ახალგაზრდებს მეწარმეობისა და სხვა უნარების განვითარებაში.

¹¹ Pohl, A., and Walther, A., (2007). 'Activating the Disadvantaged – Variations in Addressing Youth Transitions across Europe', International Journal of Lifelong Education, 26:5, pp.533-553

მნიშვნელოვანია დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობიერების ამაღლება სამუშაო გამოცდილების მნიშვნელობის შესახებ; ამისათვის გავრცელდება საუკეთესო პრაქტიკა, მოხდება მიდგომის პილოტირება და დაინერგება სხვადასხვა მოდელები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების შრომის ბაზარზე გასვლას. სამუშაო გამოცდილების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნება ჩარჩო, რომელიც პროვაიდერებს შესთავაზებს სამუშაო გამოცდილების უზრუნველყოფის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის მიხედვით.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების სამუშაო ადგილების ნაკლებობის დროს მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა, როგორც პროფესიული სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულების. იგივე გამოცდილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარება მოითხოვს ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, სამრეწველო რესტრუქტურირებას, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ქოუჩინგსა და მენტორინგს. მეწარმეობა უნდა გახდეს ფორმალური და არაფორმალური სწავლების, ასევე კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ნაწილი.

ამოცანა 2. პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა

2.1 პროფესიული განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა

პროფესიული განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია უმნიშვნელოვანესია მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის. პროფესიული განათლების დეცენტრალიზაცია გულისხმობს პასუხისმგებლობების გადანაწილებას სისტემის ქვედა დონეებზე, რაც ხელს უწყობს მომსახურების ეფექტურობასა და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად რეაგირებას. ეს პროცესი შეეხება შემდეგ საკითხებს:

- განათლების ხარისხის გაუმჯობესება
- ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
- ფინანსების მართვა
- კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების გაუმჯობესება/დაბალანსება
- კვლევისა და ინოვაციის შედეგების გაუმჯობესება და ეფექტიანი გამოყენება
- საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულებისა და სასწავლო რესურსების განახლება
- სამეწარმეო კულტურის განვითარება
- პროფესიული განათლების პროვაიდერებს შორის კოორდინაციის გაძლიერება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე

დეცენტრალიზაციის პროცესი დროს მოითხოვს და ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მათ შორის შერეული მოდელის დანერგვის გზით. დაწესებულებებმა უნდა ჩამოაყალიბონ მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომელშიც შევლენ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, ადგილობრივი ბიზნეს საზოგადოების წარმომადგენლები; მათი პასუხისმგებლობა უნდა იყოს სასწავლებლის მართვაში მონაწილეობა, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება, ბიუჯეტის მართვა, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გაანალიზება. მნიშვნელოვანია პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პასუხისმგებლობა აიღონ განათლების ხარისხზე; ამისთვის

საჭიროა შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების შემუშავება და სისტემის დონეზე ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება.

დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად საჭიროა ყველა დონეზე შესაძლებლობების გაძლიერება, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო დაწესებულებების; აქ მოიაზრება დაწესებულების მართვა, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მექანიზმები.

პროფესიული განათლების მიწოდების მონიტორინგი და შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშვალდებულება უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპეტენცია. პროფესიული განათლების სისტემა მოითხოვს კომპეტენტურ მენეჯმენტს და შედეგების და მიღწევების გამჭვირვალობას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაფინანსების ეფექტურ გამოყენებასა და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებაზე (ეროვნული და საერთაშორისო, კერძო და სახელმწიფო, ცენტრალური და მუნიციპალური და ის, რაც მიღებულია თავად მომწოდებლების საქმიანობის საშუალებით) რაც გრძელვადიანი პროცესია.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა შეესაბამებოდნენ იმ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და კულტურულ გარემოს, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. სამუშაო ძალის განვითარება და უნარების პროგნოზი უნდა შეესაბამებოდეს როგორც ქვეყნის პრიორიტეტებს ასევე ადგილობრივ მოთხოვნებსა და ტენდენციებს. დაწესებულებებს დასჭირდებათ ამ მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერება.

მნიშვნელოვანია დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიების და გეგმების დაკავშირება სექტორული და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებთან (ეკონომიკური განვითარების ტენდენციების და ინვესტიციების ტენდენციებთან).

2.2. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აერთიანებს პროფესიულ მასწავლებელს, კომპანიის ინსტრუქტორსა და მოწვეულ მასწავლებელს. პრიორიტეტულია “პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოქნილი სისტემის“ ფორმირება, რომელიც დაეფუძნება მსოფლიო ბანკის პროექტის “მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ ფარგლებში თანამშრომლობით შემუშავებულ შესაბამის მოდელს (2021). პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის მოდელს საფუძვლად უდევს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც ასევე მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში შემუშავდა ფართომასშტაბიანი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული მოდელი ასევე ეფუძნება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შესახებ მონაცემთა ანალიზს, რომელიც განხორციელდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11

თებერვლის №25/ნ ბრძანება), რომლებიც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების როლს.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება მასწავლებელთა მომზადების სისტემის განვითარება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ახალი კადრების მომზადებისა და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისთვის.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მასწავლებელთა შერჩევის სანდო კრიტერიუმებსა და პროცედურებზე და მათი შეფასების ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე სისტემის ფორმირებაზე. ეს ხელს შეუწყობს სფეროში გამოცდილი პროფესიონალების შემოსვლას და მათ პროფესიულ განვითარებას; ამისათვის განხორციელდება პროფესიული მასწავლებლის არა მხოლოდ მომზადების არამედ უწყვეტი პროფესიული განვითარების ხარისხიანი პროგრამები სხვადასხვა პროვაიდერთან თანამშრომლობით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განათლების მიდგომა იქნება სასწავლებელზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის დაგეგმვასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. სისტემა კი უზრუნველყოფს პროცესების შესაბამის მხარდაჭერას. ამ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მოტივირება და ღირსეული კარიერული წინსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. სისტემაში კარიერული წინსვლა მოხდება, როგორც მასწავლებლის სახეებისა და სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით, ასევე ადმინისტრაციული პოზიციების მიხედვითაც. მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება და საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა მასწავლებელთა განვითარების დამატებით სტიმულად განიხილება. ეს ღონისძიება საჭიროებს დამატებით რესურსებს, მასწავლებელთა ICT და უცხოური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებას.

2.3. სასწავლო გარემოს, სწავლა-სწავლების პროცესი ორგანიზება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბდება სწავლებისადმი მოქნილი მიდგომა; რეგულარული და ე.წ. “საღამოს კურსები” ხელმსაწვდომი გახდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაძლიერდება ელექტრონული კურსები, მობილური და დისტანციური კურსები.

“თანამედროვე, ახალი უნარების” განვითარება, მათ შორის “მწვანე უნარების” მოითხოვს სასწავლო გარემოს, სასწავლო მასალებისა და სწავლების პროცესის ტრანსფორმაციას; უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, მხარდაჭერაზე ორიენტირებული, ციფრული სასწავლო გარემო. დაინერგება სწავლების ინოვაციური, სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული მეთოდები; სწავლების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება ონლაინ, დისტანციურ და შერეულ სწავლებაზე, ციფრული უნარების განვითარებაზე, რაც საჭიროა COVID-19 გამოწვევებზე საპასუხოდ, “მწვანე” უნარების განვითარებაზე მწვანე განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად; ა.შ. ამისათვის მოხდება პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორი დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლება მწვანე უნარების მნიშვნელობის შესახებ. უზრუნველყოფილი იქნება ბიზნეს სექტორის მეტი ჩართულობა სწავლების პროცესში, სწავლა-სწავლება მეტად მიჰყვება სამუშაო ადგილსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს; ახალგაზრდების ცხოვრების სტილიდან გამომდინარე მეტი აქცენტი გაკეთდება სოციალური ქსელების, აპლიკაციების გამოყენებაზე, ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონებზე, არაფორმალურ ასოციაციებზე და ა.შ., ეს ყველაფერი ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის პროფესიულ განათლებას.

პედაგოგიკის ახალი მიდგომების დანერგვა მოითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას. სტრატეგია ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ინოვაციური, ონლაინ და დისტანციური სწავლების ხელშეწყობაზე, კომპანიებსა და განათლების პროვაიდერებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება არის შედეგზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებელი. სტრატეგიის ფარგლებში ყურადღება დაეთმობა სწავლის შედეგების შეფასების სანდო და ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას. იგეგმება სავალდებულო საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღება, რაც ერთის მხრივ გამოყენებული იქნება პროფესიული განათლების დონის გაუმჯობესების მექანიზმად, ხოლო მეორეს მხრივ ხარისხის გარე შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად.

შეფასების საფუძველზე შესაძლებელი იქნება პროფესიული განათლების მიწოდების სხვადასხვა რეჟიმის (ფორმალური და არაფორმალური) გაერთიანება, რაც გაზრდის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ამ პროცესში განათლების სექტორთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ სექტორული ასოციაციები და დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო რესურსების მომზადება და გაუმჯობესება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების მომზადება და უწყვეტი გაუმჯობესება. აქ მოიაზრება როგორც ორიგინალური დოკუმენტებისა და მედიის განვითარება, ასევე არსებულის ადაპტირება და გაციფრულება. COVID-19 პანდემიამ დააჩქარა ციფრული სასწავლო მასალების განვითარებისა და გამოყენების საჭიროება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ (პროფესიული მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, კომპანიის ინსტრუქტორი), რისთვისაც დაიგეგმება მათი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები. სასწავლო რესურსების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია კერძო სექტორსაც. მნიშვნელოვანია ამ პროცესში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და საგანმანათლებლო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის განვითარება. საჭიროა საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინება,

საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით გამოიყოფა მცირე საგრანტო სქემები სასწავლო რესურსების მოსამზადებლად. საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც შეუძლიათ ფინანსების მობილიზება სასწავლო რესურსების გასავითარებლად. მომზადებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაწესებულებისათვის. ვინაიდან სასწავლო რესურსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე, მნიშვნელოვანია ავტორიზაციის პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოეთხოვოთ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო რესურსების ნიმუშების წარმოდგენა (მაგალითად მოდულების 20% -თვის).

ამოცანა 3. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი მმართველობის მოდელის დანერგვა

პროფესიული განათლების დაინტერესებული მხარეები მრავალფეროვანია; მათ შორის არიან: დამსაქმებლები, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო; ბიზნეს სექტორი; პროფკავშირებისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები; პროფესიული განათლების საჯარო და კერძო პროვაიდერები; სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები; ასოციაციების

წარმომადგენლები; მასწავლებლები / ინსტრუქტორები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და მათი ოჯახები; ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა. იმისათვის, რომ პროფესიული განათლების სექტორმა დააკმაყოფილოს ყველა ამ დაინტერესებული მხარის მოთხოვნები, საჭიროა სისტემის მართვა და დანერგვა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობით. ერთ-ერთი პრიორიტეტია მართვის გაუმჯობესება ყველა დონეზე შემდეგი მიმართულებით: ორგანიზაციული განვითარება, ადამიანური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული განვითარება და სხვა.

პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის ჩართვა სხვადასხვა გზით (დიზაინი, მიწოდება, დაფინანსება). ეს გამოწვევაა, რადგან კერძო სექტორი საქართველოში ძირითადად წარმოდგენილია მიკრო და მცირე საწარმოების სახით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კერძო სექტორთან თანამშრომლობას დუალური განათლების ან სამუშაოზე დაფუძნებული განათლების მიმართულებით; ამ პროცესის პილოტირებასა და დანერგვას დონორი ორგანიზაციები უჭერენ მხარს.

3.1. საჯარო და კერძო პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება

კერძო სექტორთან პარტნიორობით ჩამოყალიბდა „პროფესიული უნარების სააგენტო“, რომლის მიზნებია:

- ა) ქვეყნის ეკონომიკის საჭიროებებზე მისადაგებული, თანამედროვე უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) ინდივიდის საჭიროებებზე მორგებული, ინკლუზიური პროფესიული განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა
- გ) ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

სააგენტო საქმიანობას წარმართავს საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანასწორი პარტნიორობის პრინციპის დაცვით, რაც პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორთან პარტნიორობას გახდის სისტემურს და სისტემატურს.

სააგენტო შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნის/განახლების მხარდაჭერასა და დამტკიცება;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო რესურსებისა და სახელმძღვანელოების შექმნის/განვითარების მხარდაჭერა;
- სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვის მხარდაჭერა, მათ შორის დუალურისა და სამუშაოზე დაფუძნებულის;
- სწავლებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში შესაბამისი დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა/კოორდინაცია;
- პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების, მათ შორის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;
- ინკლუზიური და ხელმისაწვდომი პროფესიული განათლებისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერა, მათ შორის კარიერული დაგეგმვის სერვისების;
- პროფესიული განათლების რეფორმის მონიტორინგსა და შეფასებაში მონაწილეობა, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში უნარების სააგენტო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს; სტრატეგიის ფარგლებში მოხდება სააგენტოს ტექნიკური და ადამიანური შესაძლებლობების განვითარება.

3.2. დაფინანსების ახალი მოდელი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციას და ხელს უწყობს პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტ განვითარებასა და მათ ეფექტიანობას

პროფესიული განათლების მასშტაბის გაფართოება მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსების გაზრდას და არსებული ბიუჯეტის უფრო ეფექტურად განკარგვას. ბიუჯეტის გაფართოება შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების და საჯარო სექტორის მონაწილეობით. პროფესიული განათლების ახალი კანონი გზას უხსნის საჯარო-კერძო პარტნიორობას და კერძო სექტორის მეტ ჩართულობას, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროს დაფინანსებაში. ამ პროცესში გასათვალისწინებელია სექტორების სპეციფიკა და მათ შორის კოორდინაცია.

დაფინანსების სისტემის გაუმჯობესების პროცესში გათვალისწინებული იქნება GGF-ის მიერ შემუშავებული მიდგომები და რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებს შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების შემუშავებას, სოციალური ვაუჩერის თუ სხვა დანამატების შეთავაზებას, და სისტემის დონეზე ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებას.

სტრატეგიის ფარგლებში ერთ-ერთი მიმართულებაა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა. მათ შორის ისეთი სქემების შემუშავება, რომელიც მათთვის იქცევა დამატებითი შემოსავლის წყაროდ, შემოსავლის მომტანი საქმიანობა ხელს შეუწყობს დაწესებულებების საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას.

3.3 მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის ხელშეწყობა, კვლევის, მონიტორინგისა და შეფასების გაუმჯობესება

მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავება ხელს შეუწყობს მოთხოვნასა და მოსწავლეზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებაზე, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარებაზე, რაც დაემყარება სანდო მტკიცებულებებს.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების არსებობა ისეთი საკითხების შესახებ როგორცაა პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მიწოდების სქემების ხელმისაწვდომობა და გავლენა, დაინტერესებული მხარეების აღქმა/კმაყოფილება სერვისებით, ეფექტურობა, ეფექტიანობა და ა.შ.; ამჟამად სისტემაში ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი ინფორმაცია, თუმცა ნაკლებია მისი ანალიზი და გამოყენება სისტემის გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულების სისტემის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა. ამჟამად მიმდინარეობს EMIS მონაცემთა ბაზის განახლება; მნიშვნელოვანია ბაზაში ინტეგრირდეს ხარისხის განვითარების პროცესთან დაკავშირებული მონაცემები და ყველა შესაბამისი ინფორმაცია. EMIS-მა უნდა დააკავშიროს სისტემის სხვადასხვა დონიდან მიღებული ინფორმაცია.

პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროებსა და პოლიტიკას შორის კოორდინაცია და სინერგია როგორცაა განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა, რეგიონული და ურბანული განვითარება, მიგრაცია, და ა.შ. ამავე დროს მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემის ცნობიერების ამაღლება მწვანე უნარების შესახებ; შესაბამისი პოლიტიკის ხელშეწყობა, პოლიტიკის შემქმნელთა, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების, სექტორის დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლება მწვანე უნარების შესახებ.

საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება, ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობების კოორდინირება.

3. სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს ეფექტურ კოორდინაციასა და სხვადასხვა უწყების სამოქმედო გეგმებთან თანხვედრას.

სტრატეგიის დანერგვას კოორდინაციას გაუწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი;

სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება მონიტორინგისა და შეფასების კოორდინირებაზე, რომელიც მოიცავს:

1. ყოველწლიურ მონიტორინგსა და ანგარიშგებას, რომელიც ითვალისწინებს დეტალურ ერთწლიან მონიტორინგს;
2. სტრატეგიის დანერგვის შემდგომ შეფასებას და ანგარიშის მომზადებას.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები საჯარო იქნება და განთავსდება შესაბამისი ორგანოების ვებგვერდზე. განათლების სამინისტრო მედია საშუალებების მეშვეობით და თავისი ვებგვერდის გამოყენებით საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ. ასევე იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიის წარმატებულ განხორციელებაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გამჭვირვალობა.

3.1 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

კომუნიკაციის მიზანია რეფორმების გამჭვირვალობის გაზრდა, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება სტრატეგიის მიზნების, ამოცანების, მისი განხორციელების საშუალებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

საკომუნიკაციო აქტივობები განხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

1. საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, რომლის მიზანია სამიზნე ჯგუფების ინფორმირება სტრატეგიისა და მისი შედეგების, მიმდინარე რეფორმების შესახებ;
2. მხარდაჭერის კამპანიების მოწყობა, რომლის მიზანია საინფორმაციო კამპანიის ეფექტის გაძლიერება, კარიერული კონსულტაციის მოდერნიზაციისა და საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდა;
3. დაინტერესებული მხარეებისა და სამიზნე ბენეფიციარების დამოკიდებულებების, რწმენის, ქცევისა და ცვლილებების შეფასების მიზნით ინფორმაციის სისტემატური შეგროვება;
4. ღონისძიებებში მონაწილე დაწესებულებებში დასაქმებულების (ადმინისტრაცია, მენეჯმენტი და სხვა) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

- 3.3. სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო
- 3.4 სტრატეგიის სამოქმედო გეგმა